



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ზეგარდა

ზეგარდა, XIII–XIV სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ეკლესია სოფ. დიღმის მიდამოებში. გეგმით სწორკუთხა, პატარა ზომის ნაგებობა აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდით არის დასრულებული. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. ნათდება საკურთხევლისა და სამხრ. და ჩრდ. კედლების სარკმლებიდან. ჩრდ. კედელში სარკმლის დატანება იშვიათია შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრებისთვის. ასევე თავისებურადაა გადანწყვტილი საკურთხევლის აფსიდის: სატრიუმფო თალის პილასტრები აფსიდის ნახევარწრეს კი არ ერწყმის, არამედ გამონეულია მის ფარგლებს გარეთ. ფასადი შემოსილია ქვის გათლილი ფილებით. დას. მხარეს შემოყოლებულია ვიწრო ფილების სარტყელი, რ-იც აქ დეკორ. დანიშნულებას ასრულებს. სამხრ. კარის თავზე მოთავსებული არქიტრავი შემკული იყო ნახევარწრიული თალით. დეკორ. მორთულობიდან აღსანიშნავია სხვადასხვა სიგანის 3 რელიეფური ლილვით შემკული საკურთხევლის სარკმლის საპირე.

ლიტ.: Ш м е რ ლ ი ნ გ რ., Д о ლ ი დ ზ ე ვ., Б а რ ნ ა ვ ე ლ ი ტ., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.

---